PDF Eraser Free

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მევენახეობა-მეღვინეობა“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თეა ლილუაშვილი

წევრები:

თამარ ახალაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ კოლეჯი „ პრესტიჟი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის 2021 წლის 9 მარტის N205196 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ა(ა)იპ კოლეჯი პრესტიჟის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა-მეღვინეობა“ დამატების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციას, შესასწავლად გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, შეისწავლა და კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩაატარა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგნლებთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებთან. ექსპერთა ჯგუფმა დაათვალიერა სასწავლო გარემო და გადაამოწმა საბიბლიოთეკო რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

-

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-რეკომენდაცია 1 -2.1 ქვესტანდარტი - საჯარო რეესტრში დარეგისტრირდეს შიდა აზომვითი ნახაზის შესაბამისი ფართი - სააჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე განთავსებული ამონაწერი თარიღდება 2019 წლის 1 ივლისით, ამონაწერში მითითებულია ნაკვეთის ფართობი და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობების ჩამონათვალი.

- რეკომენდაცია 2 -2.8 ქვესტანდარტი -მიზანშეწონილია განახლდეს კოლეჯის ვებ-გვერდი - კოლეჯის ვებ-გვერდი განახლებულია, საიტზე ნავიგაცია მარტივია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

PDF Eraser Free

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაცია არ გაცემულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	მევენახეობა-მეღვინეობა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მევენახეობა და მეღვინეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	2021 წლის 10 თებერვლის N01-4/22 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. N1
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	50 (დუალური მიდგომით) მისამართი: თელავი, ქართული უნივესიტეტის ქ. N1
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

PDF Eraser Free

VII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კოლეჯის გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, კერძოდ გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „საქართველოში აგროკულტურასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზაცია, ფაზა 2“ ფარგლებში 2018 წლის დეკემბერში კოლეჯმა „პრესტიჟი“ ჩაატარა კვლევა „მევენახეობა-მეღვინეობისა და ვეტერინარია-მეცხოველეობის შრომის ბაზარი თელავის, ყვარლისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში“.კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სამუშაო ბაზარზე მევენახე-მეღვინის კადრებზე მნიშვნელოვანი მოთხოვნა აუცილებლად გაჩნდება. კერძოდ, მოსალოდნელია მომდევნო წლების განმავლობაში მევენახის საშუალოდ 61 ვაკანტური ადგილის გამოჩენა, მეღვინის -30. კოლეჯს ასევე აქვს გამოცდილება „მეღვინეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების კუთხით, პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა წარმოადგენს ასევე პროგრამის განზორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას.

პროგრამა შეესაბამება დაწესებულების მისიას.

კოლეჯის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომის დანერგვა და ახალი სასწავლო პროგრამების შეთავაზება.

ონ-ლაინ ჩართვაში მონაწილეობა მიიღო მეღვინეთა ასოციაციის წარმომადგენელმა, რომელმაც აღნიშნა რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთი პროგრამის განხორციელებას კახეთის რეგიონში. მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯს "პრესტიჟი " არ აქვს მეღვინეობა - მევანახეობის სასწავლო პროგრამის განხორციელების გამოცდილება ის დარწმუნებულია, რომ თანამშრომლობა შედგება და სასარგებლო იქნება როგორც დარგის განვითარების და თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით.

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, როგორც ეს ჩარჩო დოკუმენტითაა განსაზღვრული. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ა(ა)იპ - კოლეჯის ,,პრესტიჟი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50%

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

PDF Eraser Free

ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, ჩარიცხვის წესი“. პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება კოლეჯის მიერ ორგანიზებული კონკურსის საფუძველზე. აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება გასაუბრების საფუძველზე წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3.დაწესებულებას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით განსაზღვრულია ა(ა)იპ კოლეჯის ,,პრესტიჟი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მევენახეობა-მეღვინეობა“ მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება.

დოკუმენტის მიხედვით კოლეჯმა კონტიგენტის რაოდენობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

,,მევენახეობა-მეღვინეობა“ განსაზღვრა პროგრამის ხანგძლივობის, სასწავლო გარემოს,აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტების და მასწავლებლების რაოდენობის შესაბამისად.

კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „მევენახეობა-მეღვინეობა“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულებები პრაქტიკის 8 (რვა) ობიექტთან. აღნიშნული ხელშეკრულებების თანახმად,თითოეულ მათგანს შეუძლია საწარმოში მიიღოს საშუალოდ 1-5 პროფესიული სტუდენტი

(ჯამში მაქსიმუმ - 21 სტუდენტი). შესაბამისად, კოლეჯი ერთ ცვლაში შეძლებს 20 პროფესიული სტუდენტის მიღებას (1

ჯგუფში).

შემდგომ წლებში კოლეჯი გეგმავს გააფორმოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი/ხელშეკრულება სხვა პრაქტიკის ობიექტებთანაც, რომლებიც წელიწადში შეძლებენ საშუალოდ 15-15 პროფესიული სტუდენტის მიღებას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - ,,მევენახეობა-მეღვინეობა“ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა შეადგენს 50-ს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

PDF Eraser Free

დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ სამომავლოდ გეგმავენ ახალი პრაქტიკის ობიექტების დამატებას, რათა შეძლონ წელიწადში საშუალოდ 15 პროფესიული სტუდენტის მიღება.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5. პროგრამა მოიცავს 1 არჩევით მოდულს „ღვინის ტურიზმის საფუძვლები“. მოდულის შინაარსი ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

6. პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი განსაზღვრულია ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების (მოდიფიცირება) შეტანის და გაუქმების წესით. პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დირექტორის ბრძანებით;

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. პროგრამა შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტს „მევენახეობა-მეღვინეობა“ , სარეგისტრაციო ნომერი 08105-პ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისიით;
- 7 წლიანი სტრატეგიული გეგმით;
- მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტით;
- ა(ა)იპ - კოლეჯის ,,პრესტიჟი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, ჩარიცხვის წესით;
- პროფესიული პროგრამით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

PDF Erase Free

- ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების (მოდიფიცირება) შეტანის და გაუქმების წესით;
- პროგრამის დამტკიცების აქტით;
- ინტერვიურებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნვეყოფილია დაწესებულების და სასწავლო საწარმოების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. სასწავლო პროგრამა შინაარსობრივად ორი კომპონენტისაგან შედგება: მევენახეობის და მეღვინეობის. დაწესებულებას ქალაქ თელავში, ქართული უნივესიტეტის ქ. N1-ში მდებარე სასწავლო ფართზე პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის გააჩნია 20-20 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი A და B ტიპის გარემოები, დაწესებულებას ასევე თელავის რაიონის, სოფელ შალაურში მდებარე 3838.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მ.შ.2338 კვ.მ. მოსავლიანი ვენახი და აქვეა თავისუფალი სავენახე მიწაც) გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება (საიჯარო ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2025 წლამდე). სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელის და კოლეჯის ადმინისტრაციის განმარტებით - აქ ჩაატარებენ მასტერკლასებს სტუდენტებისათვის. ასევე კოლეჯი გეგმავს მომზადება გადამზადების პროგრამების განხორციელებას და ამ მიზნითაც იქნება გამოყენებული იჯარით აღებული ვენახი და ვაზის ნარგავები.

სასწავლო დაწესებულებაში წარმოდგენილია მატერიალური რესურსი და აღჭურვილობა რომელიც სრულად ვერ ფარავს სტანდარტით გაწერილ მოთხოვნებს მევენახეობის კომპონენტს. ძირითადად ეს არის ნიადაგის დამამუშავებელი საკიდები: ფარცხი, კულტივატორი, გამაფხვიერებელი. წარმოდგენილია ასევე ტრაქტორი და მულჩის დასაგები დანადგარი, ე.წ მულჩერი. დავაზუსტებ იმას, რომ კოლეჯი სასწავლო პროგრამის ამ კომპონენტის (მევენახეობა) განხორციელებას აპირებს პრაქტიკის ობიექტებზე, რომელიც უზრუნველყოფილია ყველა საჭირო ინვენტარითა და აღჭურვილობით, რაც სწავლის შედეგების მისაღწევად არის საჭირო. სასწავლო დაწესებულებას გაფორმებული აქვს რვა ხელშეკრულება დუალური სასწავლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

PDF Eraser Free
პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით. პარტნიორები შერჩეულია დარობრივად სწორად. აღნიშნული კომპანიები ნამდვილად საქმიანობენ მეღვინეობა- მევენახეობის მიმართულებით და აქვთ საკმაო გამოცდილება.
პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ კომპანიებთან:
- შპს „ღვინის კომპანია შუმი“ -თითოეული მიღების ფარგლებში არაუმეტეს 1 პროფესიული სტუდენტის მიღების შესახებ (ხელშეკრულების ვადა 2024 წ.)
-შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“ - თითოეული მიღების ფარგლებში არაუმეტეს 2 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესახებ (ხელშეკრულების ვადა 2024 წ.)
-შპს „მეღვინეობა ხარება“ -თითოეული მიღების ფარგლებში არაუმეტეს 2 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესახებ (ხელშეკრულების ვადა 2025 წ.)
-სს „თელავის ღვინის მარანი“ -თითოეული მიღების ფარგლებში არაუმეტეს 5 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესახებ (ხელშეკრულების ვადა -2024 წ)
-შპს „ვაზისა და ღვინის ჯგუფი“ -თითოეული მიღების ფარგლებში არაუმეტეს 4 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესახებ (ხელშეკრულების ვადა -2024)
-შპს „კახური“-თითოეული მიღების ფარგლებში არაუმეტეს 2 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესახებ
(ხელშეკრულების ვადა -2024)
-შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“ -თითოეული მიღების ფარგლებში არაუმეტეს 4 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესახებ
(ხელშეკრულების ვადა -2024).
ხელშეკრულებებს თან ახლავს დანართები მატერიალური რესურსების შესახებ, პროფესიული პროგრამა და სასწავლო გეგმა, ხელშეკრულებით განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მათ შორის საწარმოს მხრიდან პროფესიულ სტუდენტთა შერჩევასა და შეფასებაში მონაწილეობა. საწარმოები იღებენ ვალდებულებას გააფორმოს ხელშეკრულება პროფესიულ სტუდენტთან პროფესიული სტუდენტის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და წესის გათვალისწინებით. ვიზიტის დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

PDF Eraser Free

გავესაუბრეთ საწარმოს წარმომადგენლებს. ისინი მზად არიან ჩაერთონ სასწავლო პროცესში და გამოყონ მასწავლებლები / ინსტრუქტორები, რომლებიც უშუალოდ წარმართავენ სასწავლო პროცესს საწარმოში. კოლეჯისა და პრაქტიკის ობიექტებს შორის სტუდენტების გადაადგილებას, დასწრებას, პრაქტიკის დღიურის წარმოებას და სწავლის შედეგებზე გასვლას-ერთობლივად გაიწევს მეთვალყურეობას როგორც კოლეჯის ასევე საწარმოს მხარე. რაც შეეხება სტუდენტების გადაადგილებას / სასწავლო სსაწარმოში მისვლას, ამას სტუდენტები თავად უზრუნველყოფენ.

საწარმოების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ახალი პროფესიული სტუდენტების მიღებას შეძლებენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირველ ჯერზე მიღებული პროფესიული სტუდნეტები დაასრულებენ სწავლას, ამასთან გამოიკვეთა რომ ყველა კომპანიას არ აქვს მევენახეობის მიმართულება და ახორციელებს მხოლოდ ღვინის წარმოებას. ექსპერტთა ჯგუფმა თხოვა დაწესებულებას წარმოედგინათ ხედვა, როგორ მოხდებოდა პროფესიულ სტუდენტთა ისე გადანაწილება, რომ ერთ მიღებაზე 21 პროფესიული სტუდენტის მიღების შემთვევაში (რა რაოდენობაც ხელშეკრულებებით იყო გათალისწინებული), რომ თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის შესაძლებელი ყოფილიყო პროგრამით გათვალისწინებული ყველა პრაქტიკული უნარის გამომუშავება, როგორც მევენახეობის, ასევე მეღვინეობის კუთხით. დაწესებულებამ წარმოადგინა შემდეგი ხედვა:

„კოლეჯმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ პარტნიორ ორგანიზაციებთან, რომლებთანაც შესაძლებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულად მიღწევა, გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული სტუდენტთა მისაღები რაოდენობის გათვალისწინებით, პირველი წლის მიღების ფარგლებში კვოტა განისაზღვროს 15 ადგილით, კერძოდ:

- სს „თელავის ღვინის მარანი“ - 5 ადგილი;
- შპს „ღვინის კომპანია შუმი“ – 1 ადგილი;
- შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“ – 2 ადგილი;
- შპს კომპანია „ბესინი“ – 2 ადგილი;
- შპს მეღვინეობა ხარება - 2 ადგილი;
- შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“ – 3 ადგილი.“

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საწარმოები პირველ ეტაპზე სასწავლო პროცესში ჩართავენ თავიანთ თანამშრომლებს, თუმცა ისინი არ არიან სხვა სტუდენტების მიღების წინააღმდეგნი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

PDF Eraser Free
ორმა კომპანიამ აღნიშნა, რომ მათ აქვთ ამგვარი თანამშრომლობის გამოცდილება კოლეჯ "აისთან , წარმომადგენელმა აღნიშნა ისიც, რომ წინა პერიოდის კურსდამთავრებული დასაქმდა იმ საწარმოში სადაც სწავლობდა.
საწარმოების წარმომადგენლებმა სიტყვიერად დაადასტურეს ის გარემოება, რომ პროფესიულ სტუდენტებს წვდომა ექნებათ და სასწავლო მიზნებისთვის საჭირო მატერიალურ ტექნიკურ საშუალებებთან. სტუდენტები შეძლებენ მის გამოყენებას ინსტრუქტორების მეთვალყურეობით.
ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შერჩეული საწარმოებიდან უმრავლესობა ფლობს HACCAP და ISO საერთაშორისო სტანდარტებს, რაც ნიშნავს იმას, რომ სტუდენტებს შეხება ექნებათ ამ სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, საწარმოო პროცესებსა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან-რაც არის ძალიან მნიშვნელოვანი, სურსათის უვნებლობის, ასევე ევროპული სტადარტით პროდუქციის წარმოების თვალსაზრისით.
2. პროგრამას ჰყავს 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი ზოგადი მოდულების განსახორციელებლად და 3 პროფესიული განათლების მასწავლებელი დარგობრივი მოდულების განსახორციელებლად, პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სასწავლო საწარმოებთან გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად, საწარმო ვალდებულია გამოყოს ინსტრუქტორი, რომელიც უზრუნვეყოფს პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკულ სწავლებას და მათ მონაწილეობას საწარმოო პროცესში, ზედამხედველობას გაუწევს ჩანაწერების ჟურნალის წარმოებას და აღრიცხავს სტუდენტთა გამოცხადებას საწარმოში.
3.პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ განსახორციელებელი მოდულების შესაბამის ცოდნა/გამოცდილება, ასევე სწავლების გამოცდილება. პირადი საქმეების შესწავლით და მათთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ თითოეულ მათგანს აქვს სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი, ერთ მათგანს აქვს კვალიფიკიკაცია/კომპეტენცია მევენახეობის მიმართულებით, ხოლო მეორეს მეღვინეობის მიმართულებით. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელებს გააზრებული აქვთ პროგრამის სტრუქტურა და სპეციფიკა.

5.დისტანციური ვიზიტის ფარგლებში შემთხვევითი შერჩევით გადამოწმდა პროგრამით განსაზღვული სასწავლო რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

PDF EraserFree

სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონული/ბეჭდური სახით კოლეჯის ბიბლიოთეკაში. სასწავლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით,ბიბლიოთეკას აქვს კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი, რაც შესაძლებლობას იძლევა როგორც სასწავლო რესურსით ადგილზე სარგებლობის, ასევე ასლის გადაღებისთვის.

6. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით კოლეჯს განსაზღვრული აქვს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. კერძოდ: საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესში მათი სრულყოფილი ინტეგრირების მიზნით, კოლეჯი უზრუნველყოფს საჭირო ადამიანური რესურსის (ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სსსმ პირის ასისტენტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერი, გადაადგილების მხარდამჭერი, სპეციალური მომვლელი) მოძიებას და საგანმანთლებლო პროცესში ჩართვას; ასევე დამხმარე ტექნიკის ან პროგრამული უზრუნველყოფის (მაგ: სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის, CCTV აპარატი და ა.შ.) შეძენას ინკლუზიური განათლების სპეციალისტის დასაბუთების საფუძველზე.

7.დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, ბიუჯეტში განსაზღვრულია პროგრამის შემოსავლები (პროგრამული დაფინანსება, ვაუჩერული დაფინანსება) და მოსალოდნელი ხარჯები. ბიუჯეტში განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- იჯარის ხელშეკრულებით და საჯარო რეესტრის ამონაწერით;
- საწარმოებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით და მათი დანართებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- შესყიდვის აქტებით;
- საწარმოების და კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიურებით;
- განმახორციელებლების პირადი საქმეებით;
- პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმეებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

PDF Eraser Free

- განმახორციელებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- პროგრამის ბიუეტით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია“. მეთოდოლოგია მოიცავს პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროფესიული განათლებლის მასწავლებლების და დამსაქმებლების გამოკითხვის ფორმებს, ასევე საკონტაქტო საათზე და შეფასებაზე დასწრების ფორმებს.

მეთოდოლოგია ეფუძნება დემინგის ციკლს. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამაში ცვლილების განხორციელება ან/და ჩარჩო დოკუმენტში შესაბამისი ცვლილებების ინიცირება.

2.დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების (მოდიფიცირება) შეტანის და გაუქმების წესი. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიულ სტანდარტში/ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

რეგულაცია ასევე ითვალისწინებს პროგრამის გაუქმების პირობებსა და პროცედურებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიით;
- ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების (მოდიფიცირება) შეტანის და გაუქმების წესით;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამისთვის შემუშავებულია სასწავლო გეგმა,ქართული ენის მოდულების გათვალისწინებით და მის გარეშე. სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია კვირაში 1 დღე კოლეჯში, ხოლო 4 დღე სასწავლო საწარმოში სწავლება. სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ვადები. პროგრამას ასევე თანდართული აქვს კოლეჯსა და საწარმოს შორის პროფესიული სწავლის შედეგების გადანაწილების ცხრილი. კოლეჯში კვირაში ჩასატარებელი საკონტაქტო საათების რაოდენობა არ აღემატება 6 საათს.

2.სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად პროგრამების სასწავლო გეგმის მიხედვით დგება სალექციო განრიგი სასწავლო პროცესის დაწყებამდე, სალექციო განრიგის ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე;

3.პროფესიული პროგრამის შემადგენელ მოდულებში განსაზღვრულია ისეთი სწავლების თანამედროვე მეთოდები, როგორიცაა მინი-ლექცია, საკლასო დისკუსია, როლების გადანაწილება, შემთხვევის შესწავლა და სხვა, ასევე პრაქტიკული მეცადინეობები,სადაც განმახორციელებელი პირი ახდენს პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას, სტუდენტები ჯერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

PDF Eraser Free

პროფესიული განათლების მასწავლებლის დახმარებით, ხოლო შემდეგ უკვე დამოუკიდებლად იმეორებენ, ხვეწენ და განივითარებენ მოდულის ფარგლებში განსაზღვრულ კომპეტენციებს.

4.კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის, სტატუსაღდგენილი და მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისთვის.

5. დაწესებულებას თანაგანმახორციელებელ საწარმოებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები, გაფორმებულია მინიმუმ პროგრამის ხანგძლივობის ვადით. ხელშეკრულებების ვადა ჩაითველბა გაგრძელებულად, თუ ვადის ამოწურვამდე 10 დღით ადრე მხარეები წერილობით არ გამოთქვამენ ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სამუშაო/სასწავლო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პარტნიორ საწარმოებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს საწარმოს მხრიდან პროფესიული სტუდენტისთვის სწავლის დაწყებამდე შრომის დაცვის უსაფრთხოების ნორმების გაცნობას და ჯანმრთელობის და სიცოცხლის უსაფრთხო პირობების დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამით და სასწავლო გეგმით/გეგმებით;
- სასწავლო საწარმოებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის,შემუშავების და ვალიდაციის პროცედურა და შეფასების პრინციპები. რეგულაციაში განსაზღვრულია თუ რა მიიჩნევა ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან და ობიექტურ შეფასებად.

2.შეფასების სისტემა ითვალისწინებს შიდა ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაციის მექანიზმში განსაზღვრულია ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი, დარგის და განათლების ვერიფიკატორების ფუნქციების, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების შეფასების კრიტერიუმები, ვერიფიკაციისთვის ნამუშევრების შერჩევის კრიტერიუმები.

3. პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია შეფასების მტკიცებულებების უწყისის შევსებიდან 3 წლის ვადით შენახვა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შექმნილ მტკიცებულებათა სათანადო წესით აღრიცხვასა და შენახვაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესისა და სასწავლო

პრაქტიკის მენეჯერი.

4.პროგრამა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზებისა და ჩატარების წესი. წესის თანახმად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

PDF Eraser Free

მინიჭების დამატებითი პირობა არის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება; საკვალიფიკაციო გამოცდაზე პროფესიული სტუდენტი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩააბარა შუალედური გამოცდა და სრულყოფილად აქვს შევსებული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალი. შუალედური შეფასების მიზანია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება; შუალედური შეფასების შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის დახვეწა და გაუმჯობესებისათვის;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზებისა და ჩატარების წესით;
- ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემი მარეგულირებელი წესით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	15 (დუალური მიდგომით) მისამართი: თელავი, ქართული უნივესიტეტის ქ. N1
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

საწარმოების წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ახალი პროფესიული სტუდენტების მიღებას შეძლებენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირველ ეტაპზე ჩარიცხული სტუდენტები დაასრულებენ სწავლას, ასევე საწარმოთა ნაწილს არ გააჩნია მევენახეობის მიმართულება და შეუძლია სწავლება განახორციელოს მხოლოდ მეღვინეობის კუთხით, დაწესებულების მიერ დამატებით მოწოდებული პროფესიულ სტუდენტთა საწარმოებში გადანაწილების სქემა შემდეგია:

- სს „თელავის ღვინის მარანი“ - 5 ადგილი;
- შპს „ღვინის კომპანია შუმი“ – 1 ადგილი;
- შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“ – 2 ადგილი;
- შპს კომპანია „ბესინი“ – 2 ადგილი;
- შპს მეღვინეობა ხარება - 2 ადგილი;
- შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“ – 3 ადგილი.“

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

PDF Eraser Free

15.04.21
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-